ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1728228

ნომერი: AR1283766

თარიღი : 04.02.2015

გაცემის თარიღი : 11.02.2015

გაცნობის თარიღი : 16.02.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღომი , (ნაკვეთი N34/513) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოსო ჩავლეიშვილი პ/ნ 01030002333
- თბილისი აფხაზეთის ქ. N 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრების მოწყობა და ფასადზე სამღებრო სამუშაოების განხორციელება მიზანშეწონილად არ მიაჩნია. საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრების მხატვრულ ვიზუალური ელფერის და გაბარიტული ზომების მეტად დახვეწილი, სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, კერძოდ მიუღებელია სახურავზე ორივე მხრიდან განთავსებული სარეკლამო კონსტრუქციის მოწყობა, შესაძლებელია მოეწყოს მცირე ზომის სარეკლამო აბრა ჰორიზონტალურ ყრუ კედელზე. ასევე მიუღებელია ფანჯრის ღიობზე სარეკლამო აბრის განთავსება, სასურველია ესეც განათავსოთ ჰორიზონტალურ ყრუ კედელზე. რაც შეეხება გვერდითა ფასადზე ყრუ კედლზე განთავსებულ სარეკლამო აბრას, დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ ხდება გადაფარვა არსებულ მოაჯირზე, მოიყვანეთ შესაბამისობაში. რაც შეეხება ფასადის შეღებვას და ალათებზე არაკალის გადაკვრას, გაცნობებთ, რომ სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. ერთიანი იერსახის შენარჩუნების მიზნით სასურველია ფოტომონტაჟზე აღნიშნული ფერები შეიცვალოს და გაკეთდეს გვერდზე არსებულ ფერთან შესაბამისობაში, რათა არ დაირღვეს საერთო იერსახე.

საკადასტრო საზღვრის გარეთ სარეკლამო აბრაზე მოგახსენებთ შემდეგს: ვინაიდან მისი მოწყობა ხდება საკადასტრო საზღვრის გარეთ თვითმმართველი ერთეულის მიწის ნაკვეთზე, 2009 წლის 6 თებერვლის #2–4 გადაწყვეტილების თანახმად გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე ქ. თბილისში არსებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვას მარჯვენა სანაპიროზე გასცემს შპს "აუთდორ ჯი", ხოლო მარცხენა სანაპიროზე შპს "სმოდ ედვერთაიზინგი", გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან ვინაიდან საპროექტო ადგილი მდებარეობს მარჯვენა სანაპიროზე, საჭიროა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართოთ შპს "აუთდორ ჯი"–ს (მისამართი: ყოფშიძის ქ. #2, მე–4 სართული).

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით წარმოსადგენია სარეკლამო აბრებისა და ფასადის შეღებვის სხვა ალტერნატიული ვარიანტის განახლებული ფოტომონტაჟები ყველა მასალისა და ზომების მითითებით

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.